დუშეთის მაცნე

№2 (111)
12 სექტემბერი
2022 წელი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი. ვრცელდება უფასოდ

ირაკლი ღარიბაშვილი:

„ჩვენი მოლოდინია, რომ ეს პოზიტიური დინამიკა გაგრძელდება და წელს ისეთივე წარმატებული წელი გვექნება, როგორიც გვქონდა გასულ წელს. ეს მოვახერხეთ ჩვენი სწორი, გონივრული, ეროვნულ ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკითა და არა - ემოციური და გაუაზრებელი, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით, რომელზეც ჩვენი ოპონენტები მოგვიწოდებდნენ“.

2

შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში

3

აბანოსხევი - დავათის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციოდ

5

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი დუშეთს ეწვია



3

მილახვრიანთკარის დასახლების საავტომობილო გზა რეაბილიტირდა

5

სოფელ ტონჩის წყალმომარაგებისათვის

4

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N21

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

7

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის საინფორმაციო კამპანია დუშეთში

4

შემაჯამებელი ღონისძიება პროგრამისა „ასწავლე საქართველოსთვის“

6

„დუშეთი - კოსმო“ წარმატებით ასპარეზობს

6

მთავრობის სიახლენი...

„ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია"

მთავრობის სხდომაზე ოფიციალურად გამოგვაქვს „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია", მთავრობა დაამტკიცებს დოკუმენტს და ის ხელმისაწვდომი რამდენიმე დღეში გახდება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ეს დოკუმენტი ეფუძნება ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ ხალხის საერთო მისწრაფებას.

„პირველი საკითხი, რაზეც მინდა ვისაუბრო - ეს არის ჩვენი დაპირება, რომელზეც ჩვენ გასულ წელს ვსაუბრობდით. ეს არის ინიციატივა, რომელიც უკავშირდება ქვეყნის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას - 2030, ჩვენი ხედვა, რომელშიც გაიწერა პრაქტიკულად ყველა მიმართულება, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა. თითოეულმა უწყებამ მოამზადა საკუთარი განვითარების სტრატეგია, ხედვა და გეგმები და ახლა ჩვენ ოფიციალურად გამოგვაქვს აღნიშნული საკითხი, სახელწოდებით - „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია". ეს დოკუმენტი ეფუძნება ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ ჩვენი ხალხის საერთო მისწრაფებას. ეს არის ქვეყანა, რომელიც გულისხმობს მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას. ეს ჩვენი საერთო ამოცანაა - სოციალური თანასწორობა, ხარისხიანი ჯანდაცვა, განათლება, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი გარემო, დემოკრატიის გაძლიერება, უსაფრთხოება და სტაბილურობა. ეს ყველაფერი ჩამოყალიბებულია ამ დოკუმენტში. მინდა ყველა უწყებას აქტიური მუშაობისთვის მადლობა გადავუხადო. ჩვენ ეს დოკუმენტები მზად გვქონდა შარშანვე, მაგრამ ამის შემდეგ დაიხვეწა თითოეული დოკუმენტი, განახლდა მონაცემები და დღეს უკვე დასრულებული სახით წარმოვადგენთ, მთავრობა დაამტკიცებს და ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომი რამდენიმე დღეში გახდება", - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის სხდომაზე დავამტკიცებთ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიას - 2022-2030. დოკუმენტი გავლილია ყველა აქტორთან, როგორც საერთაშორისო საზოგადოებასთან, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, დოკუმენტი საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნება დასამტკიცებლად.

„მინდა ვაცნობო ჩვენს მოქალაქეებს, რომ დღეს მთავრობის სხდომაზე დავამტკიცებთ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიას - 2022-2030. მოგეხსენებათ, რომ 2014 წელს პირველად იქნა დამტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის, რომელიც ძალიან სრულყოფილი დოკუმენტი იყო. მოგეხსენებათ, რომ ამ დოკუმენტზე ასევე მუშაობდა ექსპერტი, ბატონი თომას ჰამერბერგი. საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რაოდენ დიდი გამოწვევები არსებობდა ზოგადად ამ სფეროში, ადამიანის უფლებებში. კარგად გვახსოვს, რომ წინა ხელისუფლების დროს რეალურად დემოკრატიის არანაირი ნიშანწყალი არ არსებობდა და საერთოდ ფეხქვეშ იყო გათელილი ადამიანის უფლებები ყველა მიმართულებით. რა თქმა უნდა, ჩვენ მას შემდეგ რადიკალურად შევცვალეთ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ვითარება. ჩვენ ახლა ახალი დოკუმენტი მოვამზადეთ, რომელიც გავლილია ყველა აქტორთან, საერთაშორისო საზოგადოებასთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მე მინდა გითხრათ, რომ დღეს უკვე სრულყოფილი სახით გამოგვაქვს აღნიშნული სტრატეგია, რომელსაც დღეს მთავრობა მოიწონებს და გადაუგზავნის პარლამენტს დასამტკიცებლად", - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომა გაიმართება ბრიუსელში. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მე ვუხელმძღვანელებ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საგარეო საქმეთა მინისტრები იქნებიან, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ევროპელ პარტნიორებთან ისაუბრებენ ყველა იმ პროგრესსა და რეფორმაზე, რომელზეც ახლა მუშაობს მთავრობა.

„დღეს ჩვენ მივემგზავრებით ბრიუსელში. მოგეხსენებათ, რომ ასოცირების საბჭოს მე-7 სხდომა გაიმართება ბრიუსელში. დელეგაციას პირადად მე ვუხელმძღვანელებ, მინისტრებიც იქნებიან, ბატონები ეკონომიკის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, და ჩვენ, რა თქმა უნდა, გვექნება საუბარი ყველა იმ პროგრესსა და რეფორმაზე, რომლებზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ. ასევე, ბუნებრივია, გვექნება საუბარი იმ 12 რეკომენდაციაზე, რომლებზეც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს პარლამენტში ჩვენი მმართველი პარტიის მიერ და, რა თქმა უნდა, საუბარი ასევე შეეხება ქვეყანაში მიმდინარე სიტუაციას, როგორც პოლიტიკურს, ისე ეკონომიკურს, ზოგადად, რეგიონში არსებულ გამოწვევებს უკრაინის ომთან დაკავშირებით და მის შესაძლო გავლენებს ზოგადად მთელ რეგიონსა და ევროპაზე. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ, რა თქმა უნდა, დეტალურად წარვუდგენთ ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ჩვენ მიერ მიღწეულ პროგრესს", - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ოფიციალურად გამოქვეყნდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, რომლებმაც ბოლო 7 თვის განმავლობაში 10,3% შეადგინა. ეს მართლაც უპრეცედენტო მაღალი ეკონომიკური ზრდაა მთელ მსოფლიოში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად, 40.%-ით არის გაზრდილი ექსპორტი, ფულადი გზავნილები კი, 46.8 %-ით არის გაზრდილი და 300 მლნ დოლარს გადააჭარბა.

„მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩვენს მოქალაქეებს, რომ წინა კვირას უკვე ოფიციალურად გამოქვეყნდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, რომლებმაც შეადგინა 10,3% ბოლო 7 თვის განმავლობაში. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს არის მართლაც უპრეცედენტო მაღალი ეკონომიკური ზრდა მთელ მსოფლიოში. თქვენ კარგად მოგეხსნებათ, რომ ძალიან დიდი გამოწვევებია უკრაინის ფონზე არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ეს პრობლემები გადაცემულია უკვე მთელ მსოფლიოზე და ამ ფონზე ჩვენ, ჩვენი ქვეყანა ვახერხებთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მიღწევას, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მისასალმებელია. აქვე მინდა მოკლედ ვთქვა, ამაზე წინა მთავრობის სხდომაზეც ვილაპარაკე, რომ ექსპორტი მნიშვნელოვნად, 40.%-ით არის გაზრდილი. ასევე, მინდა ვაცნობო ჩვენს მოქალაქეებს, რომ ფულადი გზავნილები არის 46.8 %-ით არის გაზრდილი და 300 მლნ დოლარს გადააჭარბა. რაც შეეხება ბიზნესსექტორს, ჩვენს მოქალაქეებს მინდა ვუთხრა, რომ ბიზნესსექტორში ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე, დასაქმებული ადამიანების რაოდენობა გაზრდილია როგორც პირველ კვარტალში, ისე მეორე კვარტალში და ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ბიზნესსექტორის ბრუნვა 25%-ით არის გაზრდილი იანვარ-ივნისში, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მისასალმებელი მონაცემებია", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა შესაძლებელი გახდა სწორი, გონივრული, ეროვნულ ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკითა და არა - ემოციური და გაუაზრებელი, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით, რომლისკენაც ხელისუფლების ოპონენტები მოუწოდებდნენ

გასულ წელს ჩვენ გვქონდა ძალიან ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10.4%-ით და წელსაც დავიწყეთ ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდით ეს წელი. პირველ შვიდ თვეში გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10,3%, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 12 სექტემბერს მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ბიუჯეტი წელს დაიგეგმა 6%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იყო 64,8 მლრდ ლარი.

„დღეს მინდა ჩვენს მოქალაქეებს მივაწოდო ინფორმაცია და ერთგვარი ანგარიში ჩავაბარო ბიუჯეტთან დაკავშირებით. მანამდე, მინდა მოკლე შესავალი გავაკეთო. როგორც მოგეხსენებათ, პანდემიის შემდგომ, გასულ წელს ჩვენ გვქონდა ძალიან ძლიერი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, 10.4%-ით და წელსაც დავიწყეთ ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდით ეს წელი. პირველ შვიდ თვეში გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა - 10,3%.

ასევე შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტი წელს დაიგეგმა 6%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იყო 64,8 მლრდ ლარი. ასევე პროგნოზირებული იყო საქონლის ექსპორტის ზრდა დაახლოებით 13%-ით, ხოლო ტურიზმის აღდგენა, 2019 წელთან შედარებით, - 70%-ის ფარგლებში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, პირველ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ახალი რისკები შეიქმნა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, ევროპისთვის. ჩვენ მაშინ გვქონდა მსჯელობა და, რომ არა ჩვენი სწორი პოლიტიკა, შესაძლებელია დღეს არა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური ვარდნაც კი ყოფილიყო ჩვენს

გვ.3 →

← გვ.2 ქვეყანაში, ისევე, როგორც დღეს მსოფლიოში.

ამ პერიოდში ჩვენ გვაქვს შემდეგი პარამეტრები: საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი 3,1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 36%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს; ასევე მინდა ვთქვა, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 1,6 მლრდ აშშ დოლარს, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 3-ჯერ მეტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ წლის პირველ კვარტალში 922 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება, ხოლო 2019 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს 62%-ით აჭარბებს; ასევე მინდა ვთქვა, რომ დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვები იანვარ-ივლისის პერიოდში გაზრდილია 21%-ით. ეს ნიშნავს, რომ წელს, პირველ 7 თვეში, კვლავ ორნიშნა, 10.3%-იანი, ეკონომიკური ზრდა გვაქვს.

ამიტომ, ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, ჩვენ შევცვალეთ ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების წლიური პროგნოზებიც და განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები ითვალისწინებს შემდეგს: რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 8,5% იქნება, ნაცვლად 6%-ისა; ფაქტობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი შეადგენს 10,5%-ს; ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი განსაზღვრულია 72,2 მლრდ ლარით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 6500 დოლარს აჭარბებს; ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები იზრდება 1 266,0 მლნ ლარით“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პოზიტიური დინამიკა გაგრძელდება და წელს ისეთივე წარმატებული წელი იქნება, როგორიც გასულ წელს იყო.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა შესაძლებელი გახდა სწორი, გონივრული, ეროვნულ ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკითა და არა ემოციური და გაუაზრებელი, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით, რომლისკენაც ხელისუფლების ოპონენტები მოუწოდებდნენ.

„მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, ძვირფასო მეგობრებო, დღის წესრიგში დადგა მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებების მომზადება და ეს ცვლილებები ორიენტირებულია 2 ძირითადი მიზნის მიღწევაზე.

პირველი - ეს არის ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირება. აქვე მინდა, ძალიან მოკლედ მოგახსენოთ ამის თაობაზე. მოგეხსენებათ, რომ ნაერთი ბიუჯეტი დაიგეგმა მშპ-თან მიმართებით 4,4%-იანი დეფიციტის, ხოლო მთავრობის ვალის 51%-იანი ნიშნულის ოდენობით.

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, წელს ჩვენ ვიღებთ ბიუჯეტით დაგეგმილზე 710 მილიონი ლარით ნაკლებ ვალს. ასეთი ძლიერი ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით და წლის ბოლოსთვის მთავრობის ვალის მოცულობა შემცირდება მშპ-ის 40%-მდე, ნაცვლად 51%-ისა, რაც ასევე ძალიან კარგი მაჩვენებელია.

ამასთანავე, ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა მშპ-ის 4,4%-დან მცირდება მშპ-ის 3,2%-მდე. დეფიციტი იქნება მხოლოდ 3,2%. დეფიციტისა და ვალის შემცირების პარალელურად, დამატებითი თანხები უნდა მივმართოთ ჩვენ, ერთი მხრივ, აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად და მეორე მხრივ, სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს პოლიცია, ჯარი, ინფრასტრუქტურა, საწარმოების დაფინანსება, სოფლის მეურნეობა, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, სპორტი.

საბოლოო ჯამში, მე მინდა ვთქვა, რომ ეს პროგნოზი და ტენდენციები გაგრძელდება. ჩვენი მოლოდინია, რომ ეს პოზიტიური დინამიკა გაგრძელდება და წელს ისეთივე წარმატებული წელი გვექნება, როგორიც გვქონდა გასულ წელს. ეს მოვახერხეთ ჩვენი სწორი, გონივრული, ეროვნულ ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკითა და არა ემოციური და გაუაზრებელი, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით, რომელზეც ჩვენი ოპონენტები მოგვიწოდებდნენ. ამის თაობაზე მინდოდა რომ მომეწოდებინა ინფორმაცია, ანგარიში ჩამებარებინა ჩვენი მოქალაქეებისთვის. ბატონი ფინანსთა მინისტრი არის მზად, რომ ამის თაობაზე დეტალურად ისაუბროს მედიასთანაც. პარლამენტში გვექნება ამის თაობაზე საუბარი და კიდევ ერთხელ მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ ასეთი ეფექტიანი მუშაობისთვის“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრისას სახელმწიფო რწმუნებულ დავით ნოზაძეს, მის მოადგილე გოჩა ქავთარაძეს, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებსა და სხვა დამსწრე პირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა ლელა ჯანაშვილმა და მისმა პირველმა მოადგილემ - ოთარ ჩახუნაშვილმა სამსახურის ძირითადი ფუნქციები და საქმიანობა გააცნეს. ამასთან, ლელა ჯანაშვილმა ხაზი გაუსვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატს, მისი, როგორც დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს, ფუნქციებს და მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობას. პერსონალურ მონაცემთა

დაცვის სამსახურის საჯარო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსმა ქეთევან კრაწაშვილმა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა დავით ყარაშვილმა კი მუნიციპალიტეტებში პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და პრაქტიკულ საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა და მას რეგიონისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის, მერიების იურიდიული და ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი დუშეთს ეწვია



დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ასლამაზიშვილთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს - კელი დეგნანს შეხვდა.

შეხვედრის თემას მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა წარმოადგენდა. საუბარი აგრეთვე შეეხო მოქალაქეთა მონაწილეობას თვითმმართველობის პროცესში და მათთან აქტიური კომუნიკაციის მნიშვნელობას. მანანა ნარიმანიძემ ისაუბრა ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელ სამოქმედო გეგმებსა და ქალ მეწარმეთა მხარდამჭერ საგრანტო პროექტზე, რომელსაც მუნიციპალიტეტი უწევს თანადაფინანსებას გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) ერთად. შეხვედრის ბოლოს მხარეები სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაფართოებაზე შეთანხმდნენ.



სოფელ ტონჩის წყალმომარაგებისათვის

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკის გვერდის ინფორმაციის თანახმად, ჭონქაძის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ტონჩაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, რომლის ღირებულება 850 000 ლარს აღემატება, მოეწყობა სათავე ნაგებობა და სოფელი სასმელი წყლის ახალი მილებით დაიქსელება.

სოფელ ტონჩაში მიმდინარე სამუშაოები მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ, რწმუნებულის პირველმა მოადგილემ გიორგი ჩიფჩიურმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მანანა ნარიმანიძემ და მერის მოადგილემ ოთარ ჩხეიძემ მოინახულეს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ამ ეტაპზე პროექტით დაგეგმილი სამუშაოები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება, ხოლო მისი დასრულების შემდეგ სოფელში მცხოვრები 100-ზე მეტი ოჯახი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს.

ცნობისათვის, სოფელ ტონჩის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ხელისუფლების ჩართულობითა და ბიზნესსექტორის დახმარებით მიხა არაბულისთვის მზის ახალი პანელები შეიძინეს

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ ბარისახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზეისტეჩოში მცხოვრები 80 წლის მიხა არაბული მოინახულა და საკვები პროდუქტები გადასცა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიხა არაბულის საჭიროებებს გაეცნენ, რის შემდეგაც მის საცხოვრებელ სახლთან მზის ახალი პანელების დასრულებული სამონტაჟო სამუშაოები მოინახულეს.

„დღეს პირაქეთა ხევსურეთის მკვიდრთან, მიხა არაბულთან, ვიმყოფებით. ის გორშეღმის ხეობის სოფლების ერთადერთი მუდმივი მცხოვრებია. სამწუხაროდ, უამინდობამ მიხა პაპას მზის პანელები დააზიანა და მათი ახლით ჩანაცვლება გახდა საჭირო. ამიტომაც, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და ჩართულობით, ბიზნესის წარმომადგენლების მხარდაჭერით, შეძენილი და უკვე დამონტაჟებულია მზის ახალი პანელები. შედეგად ელექტროენერგიის მიწოდება აღდგენილია, ხოლო ამ მხრივ არსებული პირობები - გაუმჯობესებული. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, ვინც მიხა პაპას დასახმარებლად თუნდაც მცირედი წვლილი გაიღო. მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით მომავალშიც კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდება“, - განაცხადა დავით ნოზაძემ.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის საინფორმაციო კამპანია დუშეთში

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, 8 სექტემბერს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

როგორც სააგენტოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის სისტემური რეგისტრაცია გეგმა–გრაფიკის მიხედვით განხორციელდება. სააგენტოს საველე ჯგუფები ნაკვეთების საკადასტრო აზომვით სამუშაოებს მესაკუთრეების თანდასწრებით განახორციელებენ. პროცესი სრულად ელექტრონულია – საამზომველო ჯგუფები შესაბამის ოქმებს ელექტრონულად შეავსებენ, რითიც ტექნიკური ხარვეზები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ხოლო საჯარო რეესტრის წარმომადგენლები საკუთრების უფლების საკითხებზე ადგილობრივ მოსახლეობას სამართლებრივ დახმარებასაც გაუწევენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმას 2022 წლის 1 იანვრიდან ახორციელებს. ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში (ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა) 3 წლის განმავლობაში მიწის ნაკვეთები ეტაპობრივად აიზომება და და კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდება, რითაც შეიქმნება სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემთა ბაზა.

ცნობისათვის, მიმდინარე წლის სექტემბრიდან აღნიშნული პროცესი მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყება, ხოლო სხვა კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების განრიგის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: http://slr.napr.gov.ge/schedule

საკონსულტაციო შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ელგუჯა უნდილაშვილი.

მილახვრიანთკარის დასახლების საავტომობილო გზა რეაბილიტირდა

283 429 ლარის ღირებულების პროექტის ფარგლებში, ჭილაშვილების სასახლემდე მისასვლელ გზაზე დაეგო ასფალტის საფარი, მოეწყო სანიაღვრე არხები, ხოლო სასახლის შესასვლელი მოიკირწყლა ქვაფენილით. პროექტი განხორციელდა თვითმმართველობის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით.

განხორციელებული სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მანანა ნარიმანიძემ მოადგილესთან - ოთარ ჩხეიძესთან, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელ იოსებ ღარიბაშვილსა და დუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელ შალვა ინაშვილთან ერთად შეაფასა.

2026 წლის ბოლოსთვის 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მასშტაბური პროექტის განხორციელება იწყება - 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პირველი ეტაპი მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყება და ტენდერი 80 ახალი სკოლის მშენებლობასა და 320 სკოლის რეაბილიტაციაზე გამოცხადდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერის ხელმძღვანელობით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ლევან სუხიტაშვილმა მთავრობის მეთაურთან ერთად პროექტის დეტალები განიხილეს.

პროექტის თანახმად, დარჩენილი 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი 2023-2024 წლებში გამოცხადდება და 2026 წლის ბოლოსთვის, ჯამში, 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება.

პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და მათ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს და მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება.

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციისა და ახალი სკოლების მშენებლობის დროს გათვალისწინებულია მათი აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, მოეწყობა თანამედროვე ლაბორატორიები, გაიმართება სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიმართულებით. ყველა სკოლა მთლიანად ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

როგორც სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა აღნიშნა, განათლებაზე ზრუნვა მთავრობის სტრატეგიული პრიორიტეტია.

პროექტის ღირებულება 1 მლრდ ლარს შეადგენს.

„დუშეთის მაცნე" ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში" განთავსდა

მიმდინარე წლის ივლისიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში" საინფორმაციო ბიულეტენ „დუშეთის მაცნის" განთავსება დაიწყო. შესაბამისად, იგი ხელმისაწვდომი კიდევ უფრო მეტი მკითხველისათვის გახდა.

აღსანიშნავია, რომ ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში" შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, ფოტოებისა და სხვა იშვიათი გამოცემების ელექტრონული ვერსიების მონახულება.

აბანოსხევი - დავათის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციოდ

ლაფანაანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში აბანოსხევი-დავათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, რომლის ღირებულება 1 930 000 ლარს აღემატება, 4.4 კმ-იან აბანოსხევი-ლაფანაანთკარის გზის მონაკვეთზე დაეგება ასფალტის საფარი და მოეწყობა სანიაღვრე არხები.

მიმდინარე სამუშაოები მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ, რწმუნებულის პირველმა მოადგილემ გიორგი ჩიფჩიურმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მანანა ნარიმანიძემ და მერის მოადგილე ოთარ ჩხეიძემ მოინახულეს.

„სხვა არაერთ პრიორიტეტულ საკითხთან ერთად, მხარის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ კუთხით რეგიონში შემავალ ოთხივე მუნიციპალიტეტში სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, მათ შორის - დუშეთის მუნიციპალიტეტში, ლაფანაანთკარის ადმინისტრაციულ ერთეულში", - განაცხადა დავით ნოზაძემ.

„ამ ეტაპზე აბანოსხევი-ლაფანაანთკარის დამაკავშირებელ საავტომობილო გზის მონაკვეთზე რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება, თუმცა მანამდე აღნიშნული პროექტი საკმაოდ პრობლემური იყო: ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, რის გამოც ტენდერი თავიდან გამოვაცხადეთ. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობას ამ გზაზე, სადაც ასფალტი მანამდე არასდროს ყოფილა, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება შეეძლება", - აღნიშნა მანანა ნარიმანიძემ.

აღსანიშნავია, რომ აბანოსხევი-დავათის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, მთის განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.



საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე"

ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია

მკითხველს საშუალება ეძლევა, ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს Facebook-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე.

შემაჯამებელი ღონისძიება პროგრამისა „ასწავლე საქართველოსთვის"

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, დუშეთის ი. ზაქაიძის სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა შემაჯამებელი ღონისძიება პროგრამისა „ასწავლე საქართველოსთვის", რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ - თამარ მახარაშვილმა გახსნა. მან დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, მიღწეული შედეგები შეაფასა და პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ღონისძიებას მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ: მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვასილ წიკლაური, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები - ელგუჯა უნდილაშვილი და გვანცა ესტატიშვილი, საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ასლამაზიშვილი და მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსი ქეთო წიკლაური.

საუბრის დროს მინისტრის პირველმა მოადგილე თამარ მახარაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროექტის წარმატება მაღალმთიანი რეგიონის სოფლების სკოლებისთვის ავტორიზაციის პროცესის დაძლევის თვალსაზრისით.

პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის" მონაწილე მასწავლებლებსა და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბერიკა შუკაკიძემ, რომელმაც პროექტის მიღწევები შეაჯამა. მისი თქმით, დღეისათვის საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა მაღალმთიანი რეგიონის საჯარო სკოლებში მენტორის, წამყვანი და უფროსის სტატუსის მქონე 13 საგნობრივი მიმართულების 156 კონსულტანტ-მასწავლებელი ასწავლის. პროგრამა ჯამში მოიცავს 10 რეგიონის, 26 მუნიციპალიტეტის 84 საჯარო სკოლასა და 6869 მოსწავლეს.

მოწვეულმა მასწავლებლებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს მოკლე პრეზენტაციები თავიანთი საქმიანობის, აქტივობებისა და მიღწეული შე-

დეგების შესახებ, ასევე მოეწყო მოსწავლეების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

კონფერენციის დასასრულს ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა დავით ოსეფაშვილმა.

ღონისძიების პარალელურად, დუშეთის კულტურის სახლში მოეწყო ადგილობრივი სკოლის ისტორიის მასწავლებლის, მხატვარ მარინა გოგოჭურის ფერწერული ტილოების გამოფენა.

დასასრულს სტუმრების წინაშე მუსიკალური ნომრით წარდგა ადგილობრივი ანსამბლი „ქალილო".

„დუშეთი - კოსმო" წარმატებით ასპარეზობს

დუშეთის ფეხბურთელთა სამოყვარულო გუნდმა „დუშეთი-კოსმო" განახლებული მასტერლიგის შეხვედრაში კვლავ გამარჯვება მოიპოვა და „ინფრასტრუქტურის სამინისტრო" დაამარცხა ანგარიშით 7-3.

მასტერლიგის ორგანიზატორების მიერ მატჩის საუკეთესეო მოთამაშედ ზურაბ ზვიადაური დასახელდა. აღნიშნულ მატჩს ადგილობრივ გულშემატკივრებთან ერთად ესწრებოდა საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ასლამაზიშვილი.

პროექტი მხარდაჭერილია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ და მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, ფეხბურთის პოპულარიზაციას და ახალგაზრდების ჩართულობას.

ოქროს ლიგა. საპრიზო ფონდი 260 000 ლარი. საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.

11 ივნისს „თბილისი მოლში" ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობში კლუბებს შორის (2006-2007 წლებში დაბადებულები). მონაწილეობდა 72 კლუბი, მათ შორის - კლუბი „ბაზალეთი", რომელიც 2018 წელს შეიქმნა. „ბაზალეთმა" დაიკავა მე-3 საპრიზო ადგილი. მნიშვნელოვან მიღწევას ვულოცავთ კლუბის თითოეულ მონაწილეს, მთლიანად დუშეთის მუნიციპალიტეტს.

კლუბის პრეზიდენტი ბათო ჯიქური,
გენერალური დირექტორი თეიმურაზ მამსიკაშვილი.

ძვირფასო მკითხველო,



თხუთმეტი წელია, **„დუშეთის მაცნე"** გამოიცემა. ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა დუშეთის ცხოვრების სიახლეები, პრობლემები, ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს... და ეს საინფორმაციო ბიულეტენიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ თქვენი სათქმელი ხელისუფლებამდე მიიტანოს და, პირიქით, მათი გადაწყვეტილებები და ნაფიქრი გაგიზიაროთ.

სურვილი გვაქვს, კვლავაც ერთად ვიაროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ტკივილიც და სიხარულიც. ამიტომაც გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მუშაობისადმი, იმ პროექტების მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება დუშეთში. შევეცდებით, კვლავაც აქტიურად გავაშუქოთ ის საკითხები, რომლებიც გაინტერესებთ. რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და გამოხმაურებას.

რედაქცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 21

2022 წლის 26 აგვისტო

ქ.დუშეთი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

ვებგვერდი
30/08/2022
სარეგისტრაციო კოდი
010250050.35.152.016463

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 16-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
კახაბერ ჩიტაური

დანართი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (შემდგომში – „ამხანაგობა“) აღრიცხვის პროცედურები წესრიგდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. ამხანაგობის აღრიცხვაზე აყვანის მიზნით, ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში – „მერია“) მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ერთვის:

ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის წესდების ასლი ან ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის დედანი (ამხანაგობის წესდების არარსებობის შემთხვევაში);

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის წარდგენის შემთხვევაში საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიმღებ ამხანაგობის წევრთა (ბინათმესაკუთრეთა) ხელმოწერები, წევრთა სახელის, გვარისა და პირადი ნომრების მითითებით;

გ) ამხანაგობის წევრთა (ბინათმესაკუთრეთა) სრული სია სახელის, გვარის და ბინის მითითებით;

დ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ იმ მრავალბინიან მესაკუთრედ ყოფნის ფაქტს, რომელიც აირჩიეს თავმჯდომარედ;

ე) ამხანაგობის თავმჯდომარედ მოწვეული მმართველის არჩევის შემთხვევაში ამხანაგობასა და მოწვეულ მმართველს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებული დედანი/ასლი;

ვ) ამხანაგობის თავმჯდომარედ მოწვეული მმართველის არჩევის შემთხვევაში, იმ ბინის მესაკუთრის საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელმაც ამხანაგობის სახელით ხელშეკრულება გაუფორმა მოწვეულ მმართველს.

3. ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის, ამ მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ამხანაგობა წარადგენს მერის თანხმობას.

4. მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისათვის, ამ მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ამხანაგობა წარადგენს მერის თანხმობას.

მუხლი 2

1. ამხანაგობის კრების ოქმში მითითებული უნდა იყოს:

ა) ამხანაგობის მისამართი;

ბ) ამხანაგობის სახელი;

გ) ამხანაგობის კრების გამართვის თარიღი, ადგილი, დრო;

დ) ამხანაგობის კრების თავმჯდომარის სახელი და გვარი;

ე) მრავალბინიან სახლში ბინათა საერთო რაოდენობა;

ვ) ამხანაგობის კრებაზე დამსწრე წევრთა საერთო რაოდენობა;

ზ) დღის წესრიგი;

თ) გადაწყვეტილების მიღების მომხრეთა საერთო რაოდენობა;

ი) გადაწყვეტილების მიღების მოწინააღმდეგეთა საერთო რაოდენობა;

კ) გადაწყვეტილება;

ლ) ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა.

2. ამხანაგობის კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

მუხლი 3

1. მერია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, აღრიცხავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას და გამოაქვს გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ან აღრიცხვაზე უარის თქმის შესახებ, რომლის საფუძველზე მერია გასცემს აღრიცხვის ფურცელს.

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცელი უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო რეკვიზიტებს:

ა) აღრიცხვის ნომერს;

ბ) აღრიცხვის თარიღს;

გ) აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილების შეტანის თარიღს;

დ) ამხანაგობის დასახელებას;

ე) ამხანაგობის მისამართს.

მუხლი 4

1. ამხანაგობის აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შესატანად, ამხანაგობის თავმჯდომარე ან საამისოდ უფლებამოსილი პირი მერიას მიმართავს განცხადებით, რომელსაც თან ერთვის:

ა) ნოტარიულად დამოწმებული ამხანაგობის საერთო კრების ოქმის დედანი;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიმღებ ამხანაგობის წევრთა (ბინათმესაკუთრეთა) ხელმოწერები, წევრთა სახელის, გვარისა და პირადი ნომრების მითითებით;

გ) წევრთა ცვლილების შემთხვევაში – ამხანაგობის წევრთა სია, სახელის, გვარის და ბინის მითითებით;

დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის ცვლილების შემთხვევაში, წინამდებარე წესის პირველი მუხლის მეორე პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები ან საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის იმ მრავალბინიან სახლში ბინის მესაკუთრედ ყოფნის ფაქტს, რომელშიც იგი თავმჯდომარედ აირჩიეს;

ე) სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ამხანაგობის სააღრიცხვო დოკუმენტაციაში (ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც მოხდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვა და/ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა) არსებული მონაცემების ცვლილებას.

2. მერია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და გამოაქვს გადაწყვეტილება ამხანაგობის აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის ან ცვლილებების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 5

1. ამხანაგობის აღრიცხვაზე და აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძვლებს წარმოადგენს:

ა) წინამდებარე წესის პირველი და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტების მერიაში წარუდგენლობა, ან წარმოდგენილ დოკუმენტებში ისეთი არაზუსტი მონაცემების მითითება, რომელიც გამორიცხავს აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე ამხანაგობის აღრიცხვას ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების განხორციელებას;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 6

1. ამხანაგობა აღრიცხვიდან მოიხსნება:

ა) სააღრიცხვო დოკუმენტაციაში ისეთი არაზუსტი მონაცემების მითითების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხვას ამხანაგობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას;

ბ) სასამართლოს მიერ ამხანაგობის იმ კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ამხანაგობის აღრიცხვა ან აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანა;

გ) სხვა ამხანაგობასთან გაერთიანების შემთხვევაში;

დ) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 7

ამხანაგობის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ამხანაგობას წარმოადგენს მისი ნებისმიერი წევრი, ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

მუხლი 8

ამხანაგობის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია, გაეცნოს ამხანაგობის სააღრიცხვო დოკუმენტაციას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მიმდინარე წლის ნოემბერში ცნობილი მწერლისა და კინორეჟისორის – გოდერძი ჩოხელის გარდაცვალებიდან 15 წელი სრულდება. „დუშეთის მაცნე" პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით იხსენებს ბატონ გოდერძის და მკითხველს ამ ნომერში მის ერთ-ერთ ცნობილ მოთხრობას – „ხილულ სამზეოს" სთავაზობს...

ხილული სამზეო



თეთრი თმა-წვერით დაბერდა ბათილაი.

მზე მიიწურა მისი სულის დაღრუბლულ ცაზე, დადგა, დაგვიანდა და წვეთი-წვეთ შრება.

კარგა ხანია, საუკუნეს გადააბიჯა.

კარგა ხანია, ხილული სამყარო დაეკარგა იმის თვალებს.

ყოველთვის შეუმცდარი ალღოთი გრძნობს მზის ამოსვლასა და ჩასვლას. ხელიდან ქამარ-ხანჯალს არ იშორებს. გამუდმებით მაღალი ბანის წვერზე ზის და მეხსიერებაში ჩარჩენილ სამყაროს გაჰყურებს შორად, თავისი ბავშვობისაკენ.

- შენამც დამიბერდები თეთრი თმა-წვერით, ჩემო ბათილავ! - დალოცა ბალღობაში ერთმა მოხუცმა დედაკაცმა და ახდა იმისი ლოცვა: თეთრი თმა-წვერით დაბერდა ბათილაი. მზე მოიღალა მის ძვალმსხვილ სხეულში ყოფნით.

- რატომ გარტყვია წელზე ქამარ-ხანჯალი, პაპავ? - ეკითხებიან შვილიშვილები.

- იმად, რო შუა სკნელსა ვართ, - უპასუხებს მოხუცი. ბალღები იცინიან.

- ზემო სკნელს ვინღა არის, პაპავ?

- ზე სკნელს ღმერთია. -ამბობს მოხუცი და პირჯვარს იწერს.

- ქვემო სკნელსა?

- ალ-ქაჯები და დევ-ეშმაკები. ფუი, გასწყდა იმათი სახსენებელი.

- რატო, პაპავ!

- იმად, რომ ბოროტნი არიან.

- შენ გინახავს ისინი, პაპავ?

- მინახავს, ადრე, ჩემს ჯეელობაში, მე და შუღლას გვყავდნენ გამოსეულნი.

- შუღლაი ვინ იყო?

- შუღლაი გაღმა სოფლელი იყო, ჩემი ძმადნაფიცი.

- შენზე მეტი ღონე თუ ექნებოდა, პაპავ?

მოხუცი გაჩუმდა. ამ შეკითხვაზე არასოდეს ხმას არ იღებდა.

მის გარდა შუღლაი აღარავის აღარ ახსოვს.

ბათილას კი ახსოვს.

დევკაცი იყო გაღმა სოფლელი შუღლაი.

ახსოვს ბათილას. ერთხელ ღონეში აჯობა შუღლამ. მაგათ სოფლებს

შუაში არაგვი ჩამოუდის. ყოველ ახალ წელს მღვდელი წყალს აკურთხებდა ხოლმე. ნაკურთხ წყალს ქვაბით შუა ხიდზე დადგამდა.

გაღმაც ხალხი იდგა, გამოღმაც. ორივე სოფელი ღონიერ კაცს ირჩევდა.

ერთი გაღმა ეწეოდა ქვაბს, მეორე - გამოღმა. ვინც თავის მხარეს წაიღებდა ქვაბს, იმ სოფლისა იყო ნაკურთხი წყალი.

ახსოვს ბათილას, გაღმივლებმა შუღლაი აირჩიეს, გამოღმელებმა - ბათილაი. ჩასჭიდეს იქი-აქა ძარღვიანი ხელები ქვაბის ყურებს და გასწიეს თავ-თავისკენ. ღონიერი კაცი იყო შუღლაი, ქვაბიც თავის მხარეს გაითრია და ბათილაიც.

მერე კარგა ხანს მკვდრის მზესავით გაფერმკრთალებული სახით დაიარებოდა ბათილაი. ახლოს აღარავის იკარებდა. ბოღმამ ერთიანად ჩამოადნო და სანთელივით ჩამოღვენთა. ვაჟკაცი იყო შუღლაი. სასმელ-საკლავით მოვიდა ბათილასთან და ძმად გაეფიცა.

ახსოვს ბათილას შუღლაი.

სხვას არავის არ ახსოვს.

ახლა სხვა ხალხია აქ.

მარტო ბათილაიღა არის ძველი.

საუკუნეს დიდი ხანია გადასცილდა.

ახლა ისეღა დგას მაგის ძვალმსხვილ სხეულში დაღლილი სული, როგორც მზის ჩასვლის მერე მთების წვერებს შემორჩებათ ხოლმე ფერგამკრთალი „მკვდრის მზე".

მზე მიიწურა ბათილაის სულის ცაზე.

უკანასკნელი მზის სხივიღა შემორჩათ სერებს.

ჭალიდან თალხი ნაგრილები მოჰყვება აღმართს და აჰა...

საცაა მკვდრის მზეც ჩაქრება და...

ჩამობნელდება.

თეთრი თმა-წვერით დაბერდა ბათილაი.

ზის და მზის ჩასვლას ელოდება.

მზე კი ისევ დგას საწუთროს კალოზე.

ბათილაი თავის მეხსიერებაში შემორჩენილ სამყაროს ჭვრეტაშია დანთქმული.

ახლანდელებს ვერავის ვერ ცნობს.

ძველები კარგა ხანია წასულნი არიან.

ჰყავს შვილთაშვილის შვილისშვილები.

მრავლდება მაგისი მოდგმა.

ბათილას შვილისშვილის შვილმა მოტაცებით მოიყვანა პატარძალი.

გაეხარდა მოხუცს.

ახლაღა წარმოიდგინა, რომ შვილის შვილიშვილი მაგას ჰგავდა.

გულიანად დალოცა „ახალყოილნი" და საქორწილო სუფრის თავში დაჯდა.

დიდი ყანწი გამოცალა მოხუცმა.

მოეკიდა ალალაი, მეხსიერება აუმღვრია.

შუღლაი გაახსენდა.

რატომღაც ეგონა, რომ ისიც ცოცხალი იყო.

ძალიან მოუნდა შემთვრალ მოხუცს ძმადნაფიცის ნახვა და მოითხოვა.

გადადით გაღმა სოფელში და შუღლაი გადმაიყვანეთ.

არავინ უგდო ყური, იცინოდნენ მარტო.

- შუღლაი გადმამიყვანეთ, მე თქვენი.... - გაბრაზდა მოხუცი.

- აქა ვარ, აქა, ბათილავ. - იხუმრა ვიღაცამ სუფრის ბოლოში.

- აქა ხარ, ძმაო შუღლავ? - გაეხარდა ბათილას და, ჩემთან გადმოჯექიო, გასძახა.

ის ახალგაზრდა გადავიდა და გვერდზე მიუჯდა.

- როგორა ხარ, კაცოო.

- კარგად, შენა?

- რატო დამივიწყე.

- რა ვიცი, ესეთი ყოფილა სიბერე.

- ჰოო.

მოხუცის ხმაზე ელაპარაკებოდა ახალგაზრდა. დანარჩენები იცინოდნენ.

„ძმადნაფიცის" ნახვით გალაღებულმა ბათილამ ძველი ამბები მოაყოლა საუბარს.

მერე ახალგაზრდამ ისევ მოხუცის ხმით უთხრა:

ბათილავ, გახსოვს, მე რო მოგერივე.

ბათილას ხმა არ ამოუღია, უსინათლო თვალები მიაშტერა მოსაუბრეს.

ნაკურთხი წყლისათვის რომ შეეჭიდნენ, ის გაახსენდა, და სახეზე ფერფურმა გადაურბინა. ეწყინა, შუღლაიმ ის ამბავი რომ გაიხსენა.

მერე თანდათან უფრო მოეკიდა ალალაი.

მერე დაეჭვდა კიდეც: შუღლაი ვაჟკაცი იყო, არ გაიხსენებდაო იმ ამბავს.

ის ახალგაზრდა ახალ-ახალ ტყუილებს იგონებდა და, ეს თუ გახსოვსო, ეუბნებოდა ბათილას.

თანდათან უფრო დაეჭვდა ბათილაი: „შუღლაი ვაჟკაცი იყო, არ გაიხსენებდა იმ ამბავს".

ხალხი იცინოდა.

მერე ბათილას გაახსენდა, რომ შუღლაი ამქვეყანაზე აღარ იყო და უფრო მოუნდა, რომ ეს ახალგაზრდა დიდხანს მჯდარიყო მასთან და შუღლაის მაგიერობა გაეწია. ახლა ის ისე იყო თავის წარსულ სამყაროში დანთქმული, რომ არ უნდოდა მისი დატოვება.

გახსოვს, ბათილავ, რო გცემე? - გასახელებლად იძახდა ახალგაზრდა და ხალხს აცინებდა

შენ კი არა, მე გცემე, შუღლავ, - თავის მხრიდან ედავებოდა ბათილაი და უნდოდა, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო ასეთი თავის ტყუება.

საქორწინო სუფრა ხარხარებდა.

***

მეორე დღეს ბანზე იჯდა ბათილაი.

მექორწილე ხალხი ვერც მეორე დღეს იკავებდა სიცილს.

- მოდი ვუთხრათ,- თქვა ერთმა.

- გაუშვი, ცოდვაა, ეწყინება.

- ერთი რას გვეტყვის, ჰა?

- ძია ბათილავ!

- რა გინდათ?

- შუღლას ხომ არ დავუძახოთ?

- არა.

- რატომ არა, გაიხსენებთ ძველ ამბებს, თუ გინდა, ამოვიყვანთ აქ...

- ვერ ამაიყვანთ,- თქვა ბათილამ და უსინათლო თვალები მიმოავლო ხილულ სამზეოს.

რედაქტორი
მიხეილ ჭონქაძე
✉ მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27
(ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში"

დუშეთის მაცნე
გამოდის 2007 წლის მარტიდან
დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი, ან _ მითითებული ორგანიზაცია